Actio libera in causa

Als Ausnahme von § 20 dStGB und Art. 34 Abs. 1 gStGB (Schuldunfähigkeit wegen seelischer Störungen) spricht man im **deutschen** und im **georgischen Recht** von einer *actio libera in causa* („Handlung, die nur in ihrem Ursprung, nicht aber in ihrer Ausführung frei ist") bei einem Geschehen, bei welchem der (noch) schuldfähige Täter in der ersten Phase sich vorsätzlich oder fahrlässig in den Zustand der Schuldunfähigkeit versetzt und damit eine Ursache für die eigentliche Tathandlung setzt, die er dann in der zweiten Phase im Zustand der Schuldunfähigkeit ausführt (Bsp.: Täter betrinkt sich bis zum Zustand der Schuldunfähigkeit, um in diesem Zustand einen Mord zu begehen). Trotz Schuldunfähigkeit zum Zeitpunkt der eigentlichen Tatausführung soll der Täter deshalb bestraft werden können, weil er die Schuldunfähigkeit und damit die anschließende Tatbegehung vorwerfbar herbeigeführt hat. Charakteristisch ist daher die Anknüpfung der Strafbarkeit an das schuldhafte Vorverhalten (sog. Vorverlagerung). Je nach dem, mit welcher subjektiven Einstellung der Täter das Vorverhalten und die Tatausführung realisiert hat, kommt eine vorsätzliche bzw. eine fahrlässige *actio libera in causa* in Betracht. In beiden Rechtsordnungen ist die Rechtsfigur in ihrer Konzeption identisch. Da die Strafbarkeit bei Fahrlässigkeitsdelikten in Deutschland ohnehin an jedes sorgfaltspflichtwidrige (Vor-)Verhalten, d.h. auch das Berauschen, geknüpft werden kann, bedarf es hier nicht zwingend einer *actio libera in causa*. Abgelehnt wird eine *actio libera in causa* in Deutschland bei sog. verhaltensgebundenen Delikten, etwa einer Trunkenheitsfahrt nach § 316 dStGB, bei der eine bestimmte Tathandlung – das Führen eines Fahrzeugs – vorliegen muss, mit der das Vorverhalten, etwa ein Betrinken nicht gleichgesetzt werden darf. (Jei/Msh)

Actio libera in causa

გერმანული და **ქართული სისხლის სამართლის** მიხედვით (გსსკ-ის 20-ე პარაგრაფი და სსსკ-ის 34-ე მუხლი) დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის ბრალუუნარო დამნაშავე არ შეიძლება დაისაჯოს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შემდეგ. თუმცა, გამონაკლისია ე.წ. *actio libera in causa*-ს (ლათინურად: მიზეზით თავისუფალი ქცევა) შემთხვევები. ქმედების შემადგენლობის განხორციელებისას შეურაცხადობის მიუხედავად, პირის დასჯა ჩვეულებითი სამართლით განვითარებული *actio libera in causa*-ს პრინციპების თანახმად, მაინც დასაშვებია, თუ ადგილი აქვს თვით დაზარალებულის ბრალით გამოწვეულ დეფექტს (პათოლოგიური ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალე და ა.შ.) და დამნაშავემ მიზეზთა განვითარება შესაბამისი დანაშაულის ჩასადენად მხოლოდ შერაცხადობის დაკარგვის შემდეგ დაიწყო, თუმცა მას საფუძველი განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჯერ კიდევ სისხლისსამართლებრივი პასუხისგებისთვის ვარგის მდგომარეობაში ჩაუყარა. დამნაშავე ბრალის გამომრიცხავი გარემოების ინიცირებას თავად ახდენს განზრახ, რათა შემდგომში ჩაიდინოს დანაშაული

(განზრახი *actio libera in causa*) ან/და როდესაც იგი როგორც ბრალუუნარობის, ასევე მისი თანმდევი დანაშაულის ჩადენისადმი გაუფრთხილებლობით მოქმედებს (გაუფრთხილებელი *actio libera in causa*). ორივე სამართლებრივ სისტემაში ცნების კონცეფცია იდენტურია. ვინაიდან გერმანულ სისხლის სამართალში გაუფრთხილებლობით დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კავშირშია წინდახედულობის ნორმის დარღვევასთან, *actio libera in causa* აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. მაგალითად, ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა (გსსკ-ის 316-ე პარაგრაფი) დასჯადი ქმედებაა. დანაშაულის შემადგენლობა ითვალისწინებს კონკრეტულ ქმედებას – ავტომობილის მართვას და დაუშვებელია, რომ ეს ქმედება გაიგივდეს მის წინარე საქციელთან – დათრობასთან. (Jei/Msh)